ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6310780

ნომერი: AR1945907

თარიღი : 25.01.2023

გაცემის თარიღი : 02.02.2023

გაცნობის თარიღი : 22.02.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა, N 19;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ტურაშვილი პ/ნ 01027006992
- თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. N 41 ბ. 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 7 ივლისის №6023886 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 25 იანვარს №AR1945907 განცხადებით მომართა გიორგი ტურაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 7

ივლისის №6023886 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 7 ივლისის №6023886 ბრძანებით, №01.19.18.006.075 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, სამეურნეო და საწარმოო ობიექტების (საწყობი და მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი ოფისი არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის) მშენებლობის მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2022 წლის 15 ნოემბრის №6207610 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა, №5-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.18.006.075) საწყობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ამასთან, სამსახურში ფიქსირდება 2022 წლის 12 დეკემბრის №AR1939251 განცხადება ოფისის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2022 წლის 7 ივლისის №6023886 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, განმცხადებელი უთითებს, რომ ბრძანებაში „სამშენებლო განვითარების მიზნის“ ველში, ფუნქცია/დანიშნულების გრაფაში, საწყობთან ერთად მითითებული უნდა იყოს ოფისიც.
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2022 წლის 20 ივნისის №AR1907605 განცხადებით მოთხოვნილ იქნა №01.19.18.006.075 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, სამეურნეო და საწარმოო ობიექტების (საწყობი და მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი ოფისი არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის) მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება. რასთან დაკავშირებითაც წარმოდგენილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის „მიწის ნაკვეთზე შენობის ან/და ნაგებობის განთავსების სქემა“, საიდანაც დგინდება, რომ განმცხადებელს სურდა საწყობისა და მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი ოფისის (არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის) მშენებლობა. სამსახურის 2022 წლის 7 ივლისის №6023886 ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად, „სამშენებლო განვითარების მიზნის“ ველში, ფუნქცია/დანიშნულების გრაფაში დაფიქსირდა მხოლოდ საწყობი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 7 ივლისის №6023886 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 7 ივლისის №6023886 ბრძანებაში და „სამშენებლო განვითარების მიზნის“ ველში, ფუნქცია/დანიშნულების გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ფუნქცია/დანიშნულება: საწყობი და მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი ოფისი (არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის)“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 7 ივლისის №6023886 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 7 ივლისის №6023886 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.